# გაუმარჯოს საბჭოთა სპორტსმენებს — მსოფლიო სპორტული მწვერვალების დამპყრობთ!

13 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 156 (3133) 13 1966 წ. აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



ნახ. გ. ღაშვილისა.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. ბერიძეს გიორგი ბესარიონის-ძეს — პენსიონერს.
2. ბიბილურს კონსტანტინე აბრამის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლის განყოფილების გამგეს.
3. დიაჩკოვს ბორის მიხეილის-ძეს — სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელს.
4. კოპლატაძეს ნუგზარ კირილეს-ძეს — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგის მოადგილეს.
5. მაჭავარიანს დავით ალექსანდრეს-ძეს — ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
6. ფეოდოროვს ანატოლი პეტრეს-ძეს — თბილისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის უფროს მწვრთნელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 აგვისტო.

# ცის დედოფალი

ცნობილი გახდა მსოფლიოს უძლიერეს საჰაერო აკრობატთა ჩემპიონატის პირველი ლაურეატი. მოსკოვის ცაზე სპორტულმა ფორტუნამ საბჭოთა სპორტსმენებს გაუღიმა. ჩვენმა ვაჟებმა გაიმარჯვეს გუნდურ პირველობაში და შეინარჩუნეს ჯერ კიდევ 2 წლის წინათ ბილბაოში მოპოვებული პ. ნესტეროვის თასი.

უმაღლეს პილოტაჟში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მოსკოველი ინჟინერი გ. კორჩუგანოვა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯერ არ მიუღია მონაწილეობა არა თუ მსოფლიო ჩემპიონატში, არამედ რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში საერთოდ. საპატიო კვარცხლბეკის დანარჩენ საფეხურებზეც საბჭოთა სპორტსმენები ავიდნენ. ვერცხლის მედალი მოიპოვა მინსკელმა ტ. პერესეკინამ, ხოლო ბრინჯაოსი — მოსკოველმა მ. კირსანოვამ.

„ნერვები, ნერვები! რამდენჯერ მიოცნებია შეჯიბრებებზე გამემეორებინა ის, რასაც უნაკლოდ ვაკეთებდი წვრთნის დროს, არ შეიძლება არ აგიკანკალდეს ხელი, მაგრამ ტუშინოში მაინც შევძელი დამეძლია თავი. ვგონებ, ცუდად არ ვფრინავდი". — თქვა თავის პირველ ინტერვიუში გ. კორჩუგანოვამ.

700 საათი, — თითქმის თვე დაჰყო მსოფლიოს ჩემპიონმა ჰაერში. მან აითვისა თვითმფრინავების მრავალი ტიპი, მათ შორის რეაქტიულიც. „ფრენა" მისთვის „ცხოვრების" სინონიმია. გალინამ გვიამბო რომ როგორც კი რამდენიმე დღით მიატოვებს თავის წითელფრთებიან „იაკს", ცისფერი ლაჟვარდების სევდა შეიპყრობს ხოლმე.

ჯერ კიდევ ბარნაულში, სკოლაში „დაავადდა" გალინა სიმაღლით, როცა პირველად გადმოხტა პარაშუტით. შემდეგ მოსკოვი, საავიაციო ინსტიტუტი და პირველი გაფრენა. კორჩუგანოვა უკვე გამოცდილი სპორტსმენი იყო, ოქროს მედალი კი ჯერჯერობით ერთი ჰქონდა — სკოლაში წარჩინებით სწავლისთვის. გალინამ სამჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი სსრ კავშირის ჩემპიონატებზე მრავალჭიდში. და აი, ბოლოს ნანატრმა წარმატებამ არ დააყოვნა.

თუ ქალებისთვის 11 აგვისტო ფინიში იყო, ვაჟებს წინ კიდევ 2 ძნელი დღე აქვთ. 18 საუკეთესო მფრინავი, რომლებმაც ნახევარფინალური შეჯიბრებების ზღვარი წარმატებით გადალახეს, განაგრძობს ბრძოლას აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლისთვის. მათ შორის არის ხუთივე საბჭოთა მფრინავი ვ. მარტემიანოვის მეთაურობით. იგი ლიდერად რჩება.

# რ. ფიშერი დაეწია ბ. სპასკის

უდიდესი დაძაბულობით აღინიშნება სანტა-მონიკას (კალიფორნიის შტატი, აშშ) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის „პიატიგორსკის" (?) ლიდერთა ბრძოლაში ჩაება აშშ-ის ჩემპიონი რ. ფიშერი, რომელიც აღმავლობით იბრძვის მეორე წრეში. XIII ტურში მან მეოთხე გამარჯვება (ი. დონერთან) იზეიმა ზედიზედ. XIV ტურში იგი აგრესიულად ეთამაშა ვ. უნციკერს და მძიმე პოზიციაში მოექცა, მაგრამ დიდი შეუპოვრობით ყაიმს მიაღწია. XV და XVI ტურებში შესაბამისად მოუგო ბ. ლარსენს და მ. ნაიდორფს. საინტერესოა, რომ ბოლო შვიდ ტურში აშშ-ის ჩემპიონმა 6,5 ქულა მოაგროვა. ამრიგად, რ. ფიშერმა 10 ქულა მოაგროვა და დაეწია ყველაზე წინ მიმავალ ბ. სპასკის, რომელმაც ბოლო ოთხ ტურში მხოლოდ 2,5 ქულა მოაგროვა.

◆ პორტილო, 12 აგვისტო. აქ გამართულ სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო პირველობაზე კვლავ წარმატებით გამოდიან ფრანგი სპორტსმენები. კიდევ 2 ოქროს მედალი შესძინა თავისი ქვეყნის ნაკრებს ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარიელ გოიჩელმა. იგი ჯერ პირველი იყო გიგანტურ სლალომში, შემდეგ ყველას აჯობა სამჭიდში (სლალომი, სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი).

◆ კინგსტონი, 12 აგვისტო. კიდევ 1 მსოფლიო რეკორდი დამყარდა იამაიკის დედაქალაქის აუზში, სადაც მიმდინარეობს ბრიტანული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა ასპარეზობა. ავსტრალიელმა სპორტსმენებმა 4×110 იარდზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში აჩვენეს შესანიშნავი შედეგი — 3.35,6. 4×110 იარდზე კომბინირებული ესტაფეტა ავსტრალიის გუნდმა სარეკორდო დროში დაამთავრა, მაგრამ წესის დარღვევის გამო იგი მოიხსნა შეჯიბრებიდან. ერთ-ერთ ეტაპზე 16 წლის მოსწავლე მიშელ უენდენმა თავისუფალი სტილით 110 იარდი 52,9 წამში დაფარა. ასეთი შედეგისთვის მსოფლიოში ჯერ არავის მიუღწევია.



- საქართველოში ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობს 950.000 კაცი.
- რესპუბლიკაში არის 91 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 2100 — სპორტის ოსტატი, 48 — სსრ კავშირის, 139 — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, 14 საერთაშორისო, 234 — საკავშირო, 794 რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
- მარტო შარშან საქართველოს სპორტსმენებმა დაამყარეს 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი. სხვადასხვა შეჯიბრებებზე მოპოვებულ იქნა 100 მედალი — 38 ოქროსი, 29 — ვერცხლის, 33 — ბრინჯაოსი.

# სიჭაბუკისა და სილამაზის დღესასწაული

საბჭოთა ხალხს ბევრი ტრადიციული დღესასწაული აქვს, — მშენებელთა დღე, მეშახტის დღე, ვაჭრობის მუშაკთა დღე და სხვა. მაგრამ არის კიდევ ერთი დღესასწაული, რომელსაც ყველა ასაკისა და ყველა პროფესიის ადამიანები აღნიშნავენ...

ფიზკულტურელის საკავშირო დღე! საბჭოთა ხალხის საყვარელი ზეიმი, სხეულითა და სულით ძლიერთა ზეიმი — 1939 წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად ტარდება ჩვენში. ამ დღეს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში მილიონობით ფიზკულტურელი და სპორტსმენი გამოდის სტადიონებსა თუ სარბენ ბილიკებზე, კორტებსა თუ სპორტულ მოედნებზე ავლენს თავის ოსტატობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. იმიტომ, რომ სწორედ ფიზკულტურა და სპორტი აწრთობს ყველაზე უკეთ სხეულსა და ნებისყოფას, ეხმარება ადამიანს ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვაში, მხარში უდგას მას შრომითი გმირობისას.

პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ყოველმხრივ სრულყოფილი, ფიზიკურად და მორალურად თანაბრად მომზადებული ადამიანის აღზრდა. ამისთვის საჭიროა განსაკუთრებით შევუწყოთ ხელი მასობრივი სპორტისა და ფიზკულტურის განვითარებას ყველგან და მათ შორის სკოლებშიც. ჩავაბათ ფიზკულტურულ მოძრაობაში რაც შეიძლება ფართო მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა".

პარტიის ისტორიული XXIII ყრილობის შემდეგ ფიზკულტურამ და სპორტმა კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში. დილისა და საწარმოო ვარჯიშები, ფიზკულტპაუზა, სპორტული გამაჯანსაღებელი კლუბები — აი, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ახალი ფორმები.

საქართველო მუდამ გამოირჩეოდა მოწინავე სპორტული ტრადიციებით, მუდამ იდგა მაღალი, სარეკორდო მაჩვენებლებისა და მასობრიობისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში სპორტის ბევრ სახეობაში. დიდი ხანი როდია მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდების ცაზე ნინო დუმბაძის, ელენე გოკიელის, ბორის პაიჭაძის, ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, დავით ციმაკურიძის და სხვათა სახელები ელვარებდნენ. მაგრამ დროს თავისი მიაქვს. სახელგანთქმული ვეტერანები ახალგაზრდებმა შეცვალეს. მოვიდა შესანიშნავი თაობა: ომარ ფხაკაძე და ნონა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი და გურამ სალარაძე, რომან რურუა და ზურაბ საკანდელიძე, ალექსანდრა ჯანუყაშვილი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა და სხვები. მათ სხვა ნიჭიერ, საიმედო ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად, არაერთხელ გავუხარებივართ ბრწყინვალე გამარჯვებით როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო სარბიელზე. მათგან საუკეთესონი (53 კაცი) წლეულს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების დიდება განუხრელად იზრდება. ფიზკულტურასა და სპორტში მიღწევებისთვის საქართველო წლეულს მეშვიდედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

ასეთივე საპატიო ჯილდო გასული წლის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის დაიმსახურეს თბილისისა და ქუთაისის სპორტკავშირის საქალაქო საბჭოებმა და „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ.

გამარჯვება იზეიმეს „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის" ფიზკულტურელებმაც. ამ სპორტსაზოგადოებებს გადაეცათ შესაბამისი ცენტრალური საბჭოების გარდამავალი წითელი დროშები და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები.

საღღეისოდ ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა ასპარეზობაში სისტემატურად მონაწილე ფიზკულტურელთა რიცხვმა 950 ათასს მიაღწია. თუ ამას დავუმატებთ საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რაოდენობას, გამოდის, რომ ამჟამად ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია საქართველოს მოსახლეობის მეოთხედზე მეტი. გავიხსენოთ დიღმის მასივის მცხოვრებთა მაგალითი. მათ უხუცესი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. კიზირიას ხელმძღვანელობით ენერგიულად მოკიდეს საქმეს ხელი და საქართველოში ჯანმრთელობისა და დასვენების პირველი სახალხო კლუბი „დილა" შექმნეს. დიღმის მასიველთა თაოსნობა უპასუხოდ არ დარჩა — თბილისში ზედიზედ გაჩნდა და ამოქმედდა ასეთივე კლუბები: „გაზაფხული" (26 კომისრის რაიონი), „დელისი" (საბურთალოს მასივი). თბილისელებს არც სოფლების მოსახლეობა ჩამორჩა. საყოველთაოდ გახმაურდა და გაითქვა სახელი ვარკეთილელთა, შემოქმედელთა და ვაზისუბნელთა თაოსნობამ, რომელთაც საკუთარი ძალებით სპორტული ბაზების მშენებლობა ივალდებულეს.

ბუნებრივია, ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს სპორტის მასობრიობას, სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებას. მარტო შარშან საქართველოში მომზადდა 239 სპორტის ოსტატი და 3374 პირველთანრიგოსანი. სულ ჩვენს რესპუბლიკაში 2100 სპორტის ოსტატი და 91 სპორტის დამსახურებული ოსტატია. ჩვენ გვყავს მწვრთნელთა საუკეთესო კადრი: 48 სსრ კავშირის, 139 კი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი. ამას გარდა, სხვადასხვა ასპარეზობას ემსახურება 14 საერთაშორისო, 234 საკავშირო და 794 რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს სპორტსმენებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი. მარტო შარშან მათ დაამყარეს 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი. ამას გარდა, 1965 წელს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 100 მედალი — 38 ოქროსი, 29 ვერცხლისა და 33 — ბრინჯაოსი. საღღეისოდ 40 ქართველი სპორტსმენი შედის ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში (სხვადასხვა სახეობაში). მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში ო. ფხაკაძე კი სპორტულმა ჟურნალისტებმა „ჩვენს ქვეყანაში 1965 წლის საუკეთესო სპორტსმენად" მიიჩნიეს.

იქნებ ზეიმის დღეს საყვედურის სიტყვა არც უნდა დაგვცდენოდა, მაგრამ რა დასამალია, რომ ჩვენ მაინც ჩამოვრჩებით მძლეოსნობაში, ცურვაში, კრივში, წყალში ხტომაში, ველოსპორტში (საგზატკეცილო), ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ჩვენში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ყველაფერი რიგზე ვერ არის სპორტული ბაზების მშენებლობასა და კეთილმოწყობის მხრივ. და სხვ.

დღევანდელი ზეიმი ტარდება იმ დროს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა უფრო დიდი დღესასწაულისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების 50 წლისთავისთვის ემზადება. წინ არის საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო და საქართველოს სპარტაკიადები. როგორც ცნობილია, წინა სამ სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციამ საპატიო V ადგილი მოიპოვა. ახლა ჩვენი ამოცანაა არა თუ არ დავთმოთ ეს პოზიცია, უფრო მაღალი მიღწევისთვისაც ვიბრძოლოთ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დიდი ყურადღებით ეკიდებიან მომავალ ასპარეზობებს. უკვე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. სტურუას თავმჯდომარეობით.

დაკომპლექტდა და ინტენსიურ წვრთნას გადიან ნაკრები გუნდები ყველა იმ 23 სახეობაში, რომლებიც შეტანილია ასპარეზობის პროგრამაში. მოწესრიგდა ბაზების, სპორტული ინვენტარის საქმე.

შეიძლება გადაჭრით ითქვას: რესპუბლიკური ასპარეზობის კარგად ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს წარმომადგენელთა წარმატება ჩვენი ქვეყნის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე. საქართველოს საზაფხულო სპარტაკიადა კი პირველ ფინალურ სტარტს გაისად, ივლისში აიღებს. ასპარეზობის ფინალში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის, ფოთის, ტყიბულის მოზრდილთა და მოსწავლეთა ნაკრები გუნდები, საწარმოო ფიზკულტურის უძლიერესი კოლექტივები, ზონალურ ასპარეზობებში გამარჯვებულები, სოფლის საუკეთესო სპორტული კოლექტივები.

უკვე დამთავრდა სპარტაკიადის პირველი ეტაპი — მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში და ამ კოლექტივებს შორის. ახლა მეორე ეტაპი მიმდინარეობს — სარაიონო, საქალაქო, საოლქო შეჯიბრებები. მესამე და ბოლო ეტაპი სპარტაკიადის ფინალური ნაწილია.

ფიზკულტურელის დღეს, ახალგაზრდობის ამ ჭეშმარიტ დღესასწაულის დღეს, საქართველოს სპორტსმენები და ფიზკულტურული ორგანიზაციები პირობას იძლევიან, ღონეს არ დაიშურებენ, რათა კიდევ უფრო მეტი გამარჯვებები მოიპოვონ, წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე და არც მექსიკის XIX ოლიმპიურ თამაშებში შეირცხვინონ თავი.

# ჯილდოები ღირსეულთ

## სიგელები

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სპორტკავშირის ბიუროს დადგენილებით საქართველოს სპორტკავშირის სიგელით დაჯილდოვებული არიან:

**ს. ამირაგოვა** — თბილისის პედინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

**გ. არუთინოვი** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი.

**ე. აზიზოვა** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი.

**ჰ. ათაბეგოვი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე.

**ვ. აბულაძე** — სოხუმის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

**ჯ. აბშილავა** — საზოგადოებრივი მწვრთნელი („სპარტაკი").

**ნ. აკოფოვი** — მწვრთნელი ჭიდაობაში („სპარტაკი").

**გ. ბაკურაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ლაბორატორიის უფროსი.

**ჯ. ბოგდანოვი** — გორის პედინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი.

**ე. ბატმანოვა** — „ბურევესტნიკის" ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

**ო. ბუტნიკოვა** — „სპარტაკის" ინსტრუქტორი.

**ვ. ვდოვენი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი.

**ი. გრებენიკოვი** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი.

**გ. გოლაშვილი** — „ბურევესტნიკის" ფიზკულტურის სახლის დირექტორი.

**შ. გამყრელიძე** — „ბურევესტნიკის" მთავარი ბუღალტერი.

**ს. გორგასანიძე** — „ბურევესტნიკის" ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

**ო. გოჩიაშვილი** — „ბურევესტნიკის" ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

**ა. გოგიშვილი** — „სპარტაკის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ქ. ღლონტი** — პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი.

**შ. გოგინაშვილი** — კოოპერაციული ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე.

**ნ. გოგიბედაშვილი** — თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს ექიმი, საზოგადოებრივი მწვრთნელი.

**ლ. დემეტრაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცაცხლფარეში.

**ა. ჯაკობია** — თბილისის ჰანდბოლის ფედერაციის თავმჯდომარე.

**გ. ჯაფარიძე** — თბილისის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის თავმჯდომარე.

**ტ. დროზდოვა** — პედინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

**გ. ჯანაშია** — მწვრთნელი კრივში („სპარტაკი").

**შ. დვალაძე** — „სპარტაკის" აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

**ნ. ულენტი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის ლაბორანტი.

**ქ. ზაუტაშვილი** — უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

**ქ. ისკანდერაშვილი** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**მ. კეკელიძე** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

**გ. კოზმოვი** — ბათუმის პედინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

**ს. ქავთარაძე** — „ბურევესტნიკის" ინსტრუქტორი.

**ნ. კაშია** — მწვრთნელი ველოსპორტში („სპარტაკი").

**ბ. კაკაშვილი** — სახელმწიფო ვაჭრობის პროფკავშირების ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

**თ. კიპმანი** — „სპარტაკის" თანამშრომელი.

**თ. კობულაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის ინსპექტორი.

**ნ. კარელიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომელი.

**პ. ყარალაშვილი** — მანქანათმშენებელი ტექნიკუმის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი.

**გ. ლეჟავა** — თბილისის პედინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

**ე. ლომთაძე** — მწვრთნელი მძლეოსნობაში („სპარტაკი").

**მ. ისრაელიანი** — მწვრთნელთა სკოლის უფროსი ლაბორანტი.

**ზ. მამურაძე** — ბათუმის პედინსტიტუტის კათედრის გამგე.

**მ. მახაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი ბუღალტერი.

**ს. მეყანწიშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**ო. მეხტელევა** — ფიზკულტურის ინსტიტუტის დამლაგებელი.

**რ. მკრტჩიანი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ინსპექტორი კადრებში.

**ნ. მიქაელიანი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კანცელარიის გამგე.

**ს. მუმლაძე** — „სპარტაკის" ჭიათურის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ფ. ნავერიანი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**შ. ნაჭყებია** — „სპარტაკის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

**ლ. ნადირაძე** — თბილისის კულინართის სავაჭრო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ო. ნონიკაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ენების კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**რ. ნეგრებეცკი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის თეორიისა და პრაქტიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**ი. ნოსკოვა** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ექიმი.

**ი. ოხიპოვი** — მწვრთნელი ფარიკაობაში („ბურევესტნიკი").

**ნ. ოყროშიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის გამგე.

**ქ. სამხარაძე** — „სპარტაკის" ზესტაფონის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ვ. საყვარელიძე** — თბილისის ქალაქის საბჭოს ინჟინერი, საზოგადოებრივი მწვრთნელი („სპარტაკი").

**გ. სხირტლაძე** — საზოგადოებრივი მწვრთნელი („სპარტაკი").

**ი. სულიაშვილი** — თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის კათედრის გამგე.

**გ. ს. საყვარაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კომენდანტი.

**გ. ვ. საყვარაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეშა.

**თ. თევდორაძე** — „ბურევესტნიკის" ინსტრუქტორი.

**ბ. ტყეშელაშვილი** — სპორტკლუბის თავმჯდომარის მოადგილე („ბურევესტნიკი").

**რ. ტაგანაშვილი** — სოხუმის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგე.

**გ. ხარიძე** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ქ. ხერხეულიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო სახეობათა კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**გ. წერეთელი** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ლ. ცერცვაძე** — თბილისის № 1 სამედიცინო სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**თ. ჩიმერინა** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ა. ჩაჩავა** — სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ლ. ჩიქოვანი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჰიგიენის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**შ. ჭანტურიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კათედრის დოცენტი.

**თ. ჩიკვილაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

**ე. შოგირაძე** — თბილისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ქ. შეყრილაძე** — უნივერსიტეტის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი.

**ბ. შულცი** — საზოგადოებრივი მწვრთნელი ავტოსპორტში („სპარტაკი").

## სამკერდე ნიშნები

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ბიუროს დადგენილებით სამკერდე ნიშნით „ფიზიკური კულტურის წარჩინებული" დაჯილდოვებული არიან:

**ვ. ასათიანი** — „თბილისის ზღვის" საწყლოსნო სადგურის დირექტორი.

**ა. ბერიძე** — აჭარის ასსრ ქედის რაიონის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**გ. ბალასანიანი** — მწვრთნელი ძალოსნობაში („კოლმეურნე", ახალციხე).

**ა. ბერიძე** — „კოლმეურნის" მცხეთის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**შ. ბუაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ო. გვახარია** — „განთიადის" ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

**ს. გოგალაშვილი** — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი.

**მ. გრიგოლია** — მწვრთნელი მძლეოსნობაში („კოლმეურნე", აფხაზეთი).

**ე. ლავთაძე** — სადეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

**გ. ღლონტი** — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ნ. გვახარია** — „დინამოს" ოსტატწყალბურთელთა მწვრთნელი.

**ი. გეგელაშვილი** — თბილისის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

**გ. ძიძიგური** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ლ. დუდკინი** — თბილისის საქსოვ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

**ბ. დორეულაშვილი** — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს სპორტულ ნაგებობათა ინსტრუქტორი.

●

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ფეხბურთი 1966

## ახალი ამბები

● **რომი, 11 აგვისტო.** კორტინა დ'ამპეცოში სტუმრად იმყოფება მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტთა კოლექტივი. ჩვენმა სპორტსმენებმა პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს იტალიის ჩემპიონთან — „კორტინასთან" და გაიმარჯვეს — 4:1.

● **სტოკჰოლმი, 11 აგვისტო.** შვეციის ჰოკეის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თავის ნაკრებს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად არ გაუშვებს არც ამერიკის შეერთებულ შტატებში და არც კანადაში. მსოფლიო ჩემპიონატისთვის იგი შვეციაში მოემზადება, შემდეგ კი მონაწილეობას მიიღებს „ახერნის" თასის გათამაშებაში.

● **ვარშავა, 11 აგვისტო.** პოპულარულმა ჩოგბურთელმა ქალმა ი. ენჯეევსკამ პოლონეთის ჩემპიონის ტიტული პირველად 1929 წელს მოიპოვა. მან შემდეგ ნიჭიერი სპორტსმენი 40-ჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი. და აი, ამ დღეებში ენჯეევსკამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა. იგი გახდა პოლონეთის ჩემპიონი წყვილთა თამაშში.

● **ლონდონი, 11 აგვისტო.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიოში ყველაზე კონსერვატული ორგანიზაციაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისთვის რაიმე ახალი, ნოვატორული გადაწყვეტილების მიღება მთელი პრობლემაა და მაინც, ამას წინათ ფედერაციამ „გაბედული" ნაბიჯი გადადგა. მან ინგლისის თასის გათამაშებაში 1 მოთამაშის შეცვლის ნება დართო.

# ზღვიდან გაშვებული გამარჯვება

**ლენინგრადი, ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 11 აგვისტო.**
**„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 2:2 (1:1).**
**„ზენიტი":** ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, რუდი, სოვეიკო, სადირინი, ნაუმოვი, დერგაჩოვი, გუსევი, რიაზანოვი, ბურჩალკინი, ვასილიევი.
**„დინამო":** ურუშაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, იამანიძე, ილიადი, დათუნაშვილი, ხუციშვილი, ასათიანი, მესხი.
მსაჯი კ. ანძიულისი (ვილნიუსი).
დუბლიორები — 0:0.

ხანგრძლივმა წვიმამ ლენინგრადის სტადიონი წყლით დაფარულ გუბეებად აქცია. თამაში უჭირდა ორივე გუნდს, ფეხბურთელები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაყურებლები მოწმენი იყვნენ დაძაბული, საინტერესო ბრძოლისა.

მატჩი დაიწყო იმით, რომ დათუნაშვილმა მე-3 წუთზე ძელს მოახვედრა ბურთი. თბილისელებს არ შეუნელებიათ დასაწყისში აღებული ტემპი და იერიშები. 34-ე წუთზე იამანიძემ ზუსტი შორეული გადაცემით კარის წინ გაიყვანა დათუნაშვილი და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

„ზენიტმა" მარცხს ძლიერი კონტრიერიშებით უპასუხა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ვასილიევმა ეფექტური დარტყმით გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

სულ ახალი დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა თბილისელები კვლავ დაწინაურდნენ: სიჭინავამ რეიდი შეასრულა თავდასხმის ხაზზე, მიაწოდა მარცხნივ და მესხმა შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ბადეში — 2:1.

ამის შემდეგ ინიციატივა საკმაო ხანს „ზენიტს" ეპყრა ხელთ. დინამოელები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ თავს, მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა მეკარე ურუშაძემ. ლენინგრადელებმა კარგად გამოიყენეს ერთ-ერთი ასეთი მომენტი და რიაზანოვმა აღადგინა თანაბრობა—2:2. აღსანიშნავია, ხურცილავას ძლიერი თამაში. კერძოდ, ლენინგრადელთა ერთი იერიშისას მან შეძლო ცარიელი კარიდან გამოეტანა თითქმის უიმედო ბურთი. მაგრამ გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ დინამოელებსაც. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ასათიანი პირისპირ აღმოჩნდა კარის წინ და ვერ გამოიყენა ეს უაღრესად ხელსაყრელი მომენტი. კარგად ჩაატარა თამაში დინამოს მარცხენა გარემარბმა მესხმა.

ა. ბელერი,
(ჩვენი კორ.).

* * *

## 1:1, 0:0

11 აგვისტოს გაიმართა 2 მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

კუიბიშევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრ. სოვეტოვი" და გათამაშების ლიდერი — კიევის „დინამო".

ანგარიში გახსნეს კუიბიშეველებმა (ქუკოვი). საპასუხო გოლის ავტორი იყო სერებრიანიკოვი — 1:1.

ერევანში თამაშობდნენ ადგილობრივი „არარატი" და მოსკოვის „დინამო". მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## „ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 13 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 20 | 14 | 6 | 0 | 43—6 | 34 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 19 | 11 | 6 | 2 | 31—17 | 28 |
| ცსკა | 19 | 10 | 6 | 3 | 43—26 | 26 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 19 | 7 | 11 | 1 | 19—12 | 25 |
| ასკ (როსტოვი) | 19 | 12 | 1 | 6 | 32—29 | 25 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 20 | 8 | 7 | 5 | 32—22 | 23 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 20 | 8 | 5 | 7 | 28—22 | 21 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 19 | 7 | 5 | 7 | 25—17 | 19 |
| „დინამო" (თბილისი) | 20 | 6 | 7 | 7 | 20—20 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 18 | 8 | 3 | 7 | 19—20 | 19 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 20 | 7 | 4 | 9 | 25—33 | 18 |
| „დინამო" (მინსკი) | 19 | 5 | 7 | 7 | 19—24 | 17 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 7 | 3 | 9 | 17—23 | 17 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 20 | 4 | 8 | 8 | 19—26 | 16 |
| „არარატი" (ერევანი) | 20 | 5 | 6 | 9 | 15—29 | 16 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 19 | 6 | 3 | 10 | 27—36 | 15 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 19 | 2 | 8 | 9 | 13—29 | 12 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 4 | 1 | 13 | 15—29 | 9 |
| ასკ (ოდესა) | 19 | 1 | 5 | 13 | 11—33 | 7 |

# „ლოკომოტივს" — მხოლოდ ერთი ქულა

**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 11 აგვისტო.**
**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (გომელი) 0:0.**
**„ლოკომოტივი":** გრძელიშვილი, მირიანაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, იაშვილი, ჩიტია, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი, კოშკელოვი (პელიძე).
**„სპარტაკი":** ვორონი, სუპრუნიუკი, კოვალიოვი, უუკოვი, რეშეტნიკოვი, შიშინი, ნასენიკოვი, ზუბარიოვი, დენისიუკი, პოლიაკოვი, ვასილიევი.
მსაჯი ე. ლამოვიცკი (მოსკოვი).
დუბლიორები — 3:2 „სპარტაკის" სასარგებლოდ.

მიმდინარეობდა მატჩის მე-5 წუთი. „ლოკომოტივის" მეკარე გრძელიშვილი გამოვიდა წინ, ვერ მიწვდა ბურთს და დენისიუკმა საუკეთესო მდგომარეობიდან ააცილა ბურთი მიზანს.

მცირე ხნის შემდეგ ნასენიკოვის გადაცემას სულ ოდნავი მანძილით ვერ მიწვდა ვასილიევი. ტაიმის შუაგულში კომბინაცია ვასილიევი—პოლიაკოვი დამთავრდა უშედეგოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო უკიდურესად ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

ასეთი სახიფათო მომენტები სპარტაკელებს საკმარისად ჰქონდათ პირველ ტაიმში, თუმცა თამაში მთლიანად „ლოკომოტივის" უპირატესობით მიმდინარეობდა. თბილისელები უფრო მეტ ხანს ფლობდნენ ბურთს, მინდვრის შუაგული მათ გამგებლობაში იმყოფებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგის კართან მიახლოებისას თავდამსხმელები აშკარა უსუსურობას იჩენდნენ გადამწყვეტი დარტყმების შესრულებისას. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ფაქტიურად აკლდა მარცხენა გარემარბი (ვინაიდან კოშკელოვი აბსოლუტურ უმოქმედობას იჩენდა თავის ფლანგზე) თბილისელები იოლად გადიოდნენ მინდვრის შუაგულს, მაგრამ როგორც კი საქმე კარის აღებაზე მიდგებოდა, აქ ისინი ან აგვიანებდნენ საბოლოო დარტყმის შესრულებას, ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

„ლოკომოტივმა" თითქოს გამოაკეთა თამაში მეორე ტაიმში და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა სპარტაკელთა კართან, მაგრამ შედეგი არც ერთ იერიშს არ მოუცია. თბილისელებმა ცუდად ჩაატარეს აღნიშნული შეხვედრა ქვეჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: მატჩის მომენტი.
ფოტო ა. სააკოვისა.



## სსრ კავშირის თასზე

11 აგვისტოს ტაშკენტში შედგა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ადგილობრივმა „პახტაკორმა" მიიღო ცსკა.

„პახტაკორმა" შეძლო ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს იბრაჰიმოვმა და კრასნიცკიმ.

## „ბ" კლასში

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში რსფსრ-ის IV ზონის გუნდებს შორის. ფოთში ადგილობრივმა „კოლხიდამ" ფრედ — 3:3 ითამაშა ორჯონიკიძის „სპარტაკთან", რუსთავის „მეტალურგმა" 4 „მშრალი" ბურთი გაიტანა ოქტომბერიანის „სევანის" კარში, ზუგდიდის „ენგურმა" ანგარიშით 1:0 მოუგო მახაჩყალის „დინამოს".

## 6 მატჩი

11 აგვისტოს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აი, შედეგებიც: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 3:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „დაუგავა" (რიგა) 0:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 1:0, „თერგი" (გროზნო) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:0, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:1.

## საქართველოს პირველობა

მოგვყავს ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე ჩატარებული მატჩების ტექნიკური შედეგები.

**I ჯგუფი, II ქვეჯგუფი, I ზონა:** „დურუჯი" (ყვარელი) — „არაგვი" (დუშეთი) 8:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „არაგვი" (მცხეთა) 1:0, „კოლმეურნე" (მარნეული) — „ივერიონი" (დიგომი) 1:0, „ალაზანი" „მშენი" (თელავი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0.

**II ზონა.** „საირმე" (მაიაკოვსკი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 5:1, „კოლხიდმშენი" (ფოთი) — „ცისარტყელა" (თბილისი) — 3:6, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 4:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ცისკარა" (ბათუმი) 8:0, „სოლხინო" (გეგეჭკორი) — „ნამგურალი" (წყალტუბო) 4:3, „სულორი" (ვანი) — „აერო" (გალი) 2:2.

### ზონალური პირველობა

**VI ზონა.** „კოლმეურნე" (ასპინძა) — „კოლმეურნე" (სოფ. გორელოვკა) 5:2, „განახლება" (ადიგენი) — წალკა 4:1, ბოგდანოვკა — ახალქალაქი 3:1.

**VII ზონა:** „მევენახე" (ყვარელი) — წითელწყარო 3:1, „მშენებელი" (სიღნაღი) — „კოლმეურნე" (ლაგოდეხი) 8:2, „კოლმეურნე" (ქისტაური) — „იორი" (თიანეთი) 4:1.

**VIII ზონა:** შაქრის კომბინატი (აგარა) — „განთიადი" (კასპი) 0:0. თეთრი წყაროს „გარისს" მოგება ჩაეთვალა დმანისის „ჯავახეთთან".

**IX ზონა:** ჩხოროწყუ — „განთიადი" (აბაშა) 1:2. სამტრედიის „მექანიკოსს" მოგება ჩაეთვალა წალენჯიხის გუნდთან.

**XI ზონა:** „იმერეთი" (თერჯოლა) — ონი 2:1.

* * *

11 აგვისტოს ნაგარეჯოში გაიმართა მატჩი საქართველოს თასზე. ადგილობრივმა „გარეჯმა" მიიღო ლანჩხუთის „გურია", საინტერესო შეხვედრა დამთავრდა „გურიის" გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

## „ა" კლასი II ჯგუფი

# მატჩის ბოლო წუთზე

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 11 აგვისტო.**
**„დინამო" (ბათუმი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:1 (0:1).**
**„დინამო":** კვახაძე, გიორგიადი, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, გაგუა, ილურიძე, კონიაშვილი (როგავა), გიორგაძე, ქიქავა, შაფათავა.
**„ჟალგირისი":** ავერბუხი, ლიაუდანსკასი, ჟილინსკასი, შეიბოსკასი, რამიალისი, ბინკაუსკასი, ლეშინსკასი, კალედინსკასი, ზილკიავიჩუსი, ეგოროვი, ბილიუნასი.
მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).
დუბლიორები — 2:2.

ბათუმელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში ლიდერის წინააღმდეგ. უკვე პირველივე წუთებზე ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა გიორგაძეს, შემდეგ გარღვევაზე გავიდა კონიაშვილი, რომლის მიერ კარგად მიწოდებულ ბურთს არავინ დახვდა საჯარიმო მოედანზე.

ასეთმა დასაწყისმა ბათუმელ ფეხბურთელებს გამარჯვების რწმენა განუმტკიცა და ისინი შეტევაზე იყვნენ საკმაო ხნის განმავლობაში.

მასპინძელთა მორიგი იერიშისას კალედინსკასმა მიიღო შორი გადაცემა მინდვრის სიღრმიდან. ამ მომენტში „ჟალგირისის" ერთ-ერთი თავდამსხმელი „თამაშგარე" მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაზეც მსაჯს მაშინვე მისცა ნიშანი გვერდითმა მსაჯმა. მაგრამ ი. პონომარიოვმა ივი მხედველობაში არ მიიღო და ჩათვალა გოლი. ამ ინციდენტის შემდეგ თამაში ძალზე გამწვავდა და ზოგიერთმა მოთამაშემ (განსაკუთრებით სტუმრებმა) უხეშობას მიჰყო ხელი.

ბათუმელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ადრე მოპოვებული ინიციატივის დაბრუნება. ისინი თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ „ჟალგირისს", რომელიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა გაეყვანა დრო და შეენარჩუნებინა გამარჯვება.

დინამოელთა იერიშები სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი დაკარგეს შაფათავამ და გიორგაძემ და მაინც მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში გათანაბრებულ იქნა. კიზირიამ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი გაუგორა როგავას და ამ უკანასკნელმა საუცხოოდ შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:1.

ვ. მოსეშვილი,
(ჩვენი კორ.).

# სსრ კავშირი — საფრანგეთი



ტულაში გამოსვლების შემდეგ, საფრანგეთის ველოსიპედისტთა გუნდი მოსკოვის ტრეკს ეწვია. აქ გაიმართა სტუმრებისა და საბჭოთა ველოსიპედისტების განმეორებითი შეხვედრა.

ყურადღების ცენტრში იყო სპრინტერთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღიათ მსოფლიო ჩემპიონს ო. ფხაკაძეს და ჩვენი ქვეყნის სხვა წამყვან სპრინტერებს. I-II ადგილები ფრანგებმა — მორელონმა და ტრანტენმა გაითამაშეს. ისევე, როგორც ტულაში, გაიმარჯვა მორელონმა.

სამაგიეროდ, ჩვენმა სპორტსმენებმა რევანში აიღეს 4 კილომეტრზე რბოლაში. ინდივიდუალური შეჯიბრება მოიგო ლ[illegible] (სსრ კავშირი) — 5.08,6. [illegible] სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ვუკოლოვი, მოსკვინი, კოლიუშევი და ბიკოვი.

1 კილომეტრზე გიტში ყველას აჯობა ფრანგმა ტრანტენმა. მისი შედეგი — 1.09,8 მოსკოვის „ნორჩ პიონერთა" ველოტრეკის რეკორდია.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის საბოლოო შედეგია 8:7 საბჭოთა ველოსიპედისტების სასარგებლოდ.

## ხვალ ფინალია

გუშინწინ მოსკოვში, „ნორჩ პიონერთა" სტადიონის ველოტრეკზე დაიწყო სსრ კავშირის მორიგი პირველობის გათამაშება სალიდერო რბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა 28 წყვილი.

წინასწარი სერიები 25 კმ-იან დისტანციაზე ჩატარდა. შემთხვევითობას ადგილი არ ჰქონია. ყველა უძლიერესი გავიდა ნახევარფინალში, რომელიც გუშინ ღამით მოეწყო. ხვალ გამოვლინდება სსრ კავშირის ჩემპიონი სალიდერო რბოლაში.



გასულ კვირას უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა ყაზბეგის მაღალმთიან ობსერვატორიაში, სადაც ბანაკი ჰქონდათ გაშლილი საქართველოსა და იაპონიის ქალაქ იაკოჰამას ალპური კლუბების მთამსვლელებს.

• • •

სურათებზე: ზევით — იაპონელი და ქართველი მთამსვლელები; შუაში — ანძაზე ფრიალებს საქართველოს სსრ და იაპონიის სახელმწიფო ალმები; ქვევით — იაპონელი მთამსვლელი, პროფესიით ექიმი მ. უტიდა — შუაში.

ფოტო გ. მირიანაშვილისა.

# კიდევ ერთი ანკეტა

ბელგრადის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „სპორტ უ უტორაკმა" ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს 5-5 შეკითხვით მიმართა, ვბეჭდავთ ამ შეკითხვებს და ჟურნალისტთა პასუხებს.

**შეკითხვები.**

**1. დამსახურებულად მოიპოვა თუ არა ინგლისის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტული?**

**2. რომელმა ეროვნულმა ნაკრებმა აჩვენა საუკეთესო ფეხბურთი?**

**3. ვინ იყო, თქვენი აზრით, VIII ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელი?**

**4. როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, მსოფლიოს იდეალური ნაკრები?**

**5. რას იტყვით მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ორგანიზაციაზე?**

### ნ. მუნტეანუ (ისრაელი)

1. ინგლისის ნაკრებმა ოქროს ქალღმერთი დამსახურებულად მოიპოვა.
2. არგენტინამ.
3. არგენტინელი მარზოლინი.
4. იაშინი, ხეტგესი, ტროჩე, ბეკენბაუერი, ჯ. ჩარლტონი, მარზოლინი, ბოლი, ონეგა, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, მასი.
5. მსაჯობა უვარგისი იყო.

### ი. გიცულესკუ (რუმინეთი)

1. ინგლისის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტული 2 ბოლო თამაშით დაიმსახურა.
2. უნგრეთმა და პორტუგალიამ.
3. ბ. ჩარლტონი (ინგლისი).
4. იაშინი, კაპოსტა, შნელინგერი, ბეკენბაუერი, შულცი, მური, ბოლი, ჰალერი, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, მასი.
5. მსაჯობა უვარგისი იყო.

### ა. იასნიკოვი (ბულგარეთი)

1. ინგლისმა ჩემპიონობა ნახევარფინალური და ფინალური მატჩებით დაიმსახურა.
2. ინგლისმა და პორტუგალიამ.
3. ბ. ჩარლტონი.
4. ბენქსი, კაპოსტა, მარზოლინი, ბეკენბაუერი, შულცი, ბ. ჩარლტონი, ბოლი, პელე, ტორესი, ეუსებიო, სიმოესი.
5. ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო, მსაჯობა — არა.

### ფ. პედრო (ჩილი)

1. ინგლისმა დამსახურებულად გაიმარჯვა.
2. პორტუგალიამ.
3. მური (ინგლისი).
4. იაშინი, სანჩესი, შესტერნიოვი, ბეკენბაუერი, შულცი, მური, ჩისლენკო, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, პელე, მასი.
5. ორგანიზაცია იყო კარგი, მსაჯობა — არადამაკმაყოფილებელი.

### ო. არდისონი (არგენტინა)

1. ინგლისმა დაუმსახურებლად მიიღო ნიკე.
2. უნგრეთმა.
3. ბ. ჩარლტონი.
4. ბენქსი, ხეტგესი, პერფიუმო, მური, მარზოლინი, ბეკენბაუერი, ბენე, ეუსებიო, ალბერტი, პელე, სიმოესი.
5. ორგანიზაცია — დაბალი, მსაჯობა — სუსტი.

### უ. შრედერი (გფრ)

1. ინგლისმა დაიმსახურა ეს დიდი წარმატება.
2. პორტუგალიამ.
3. ეუსებიო (პორტუგალია).
4. იაშინი, ხეტგესი, სანჩესი, ბეკენბაუერი, შულცი, მური, მეტრეველი, ჰალერი, პელე, ეუსებიო, მასი.
5. ჩემპიონატის ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო.

### ჟ. აშკენაზი (საფრანგეთი)

1. ინგლისმა გამარჯვება დაიმსახურა.
2. უნგრეთმა და არგენტინამ.
3. ბ. ჩარლტონი, ბეკენბაუერი (გფრ) და ეუსებიო.
4. იაშინი, კოენი, მარზოლინი, მური, ჯ. ჩარლტონი, ბეკენბაუერი, ბოლი, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, ჰალერი, მასი.
5. მსაჯობა სუსტი იყო.

### დ. მილერი (ინგლისი)

1. პოტენციურად ინგლისი ჩემპიონობის ღირსი იყო.
2. უნგრეთმა.
3. ბ. ჩარლტონი, ალბერტი (უნგრეთი).
4. ბენქსი, ბურგნიჩი, მატრაი, მური, მარზოლინი, რატინი, ბ. ჩარლტონი, კოლუნა, ბენე, პელე, ეუსებიო.
5. ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო.

### ე. ტაბაკი (უნგრეთი)

1. ინგლისმა ნახევარფინალსა და ფინალში ჩემპიონისებური თამაში აჩვენა.
2. პორტუგალიამ და უნგრეთმა.
3. ეუსებიო.
4. იაშინი, ფესტა, ჰენრიკე, ბეკენბაუერი, რატინი, მური, ბენე, ტორესი, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, სიმოესი.
5. მსაჯმა დამღუპველი შეცდომა დაუშვა არგენტინელი რატინის გაგდებით.

### მ. პერგოლო (იტალია)

1. ფინალური მატჩით ინგლისმა დაიმსახურა ჩემპიონის ტიტული.
2. უნგრეთმა და პორტუგალიამ.
3. ბ. ჩარლტონი და ეუსებიო.
4. იაშინი, სანჩესი, მარზოლინი, ბეკენბაუერი, შულცი, მური, ბენე, პელე, ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, სიმოესი.
5. ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო, მსაჯობა — უვარგისი.

## ჩემპიონატის ლაურეატები

ჩვენი გაზეთის 27 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის ლაურეატთა სია (ქვეჯგუფების თამაშების მიხედვით). დღეს ვაქვეყნებთ ლაურეატთა საბოლოო სიას (იგი შეადგინა ტურნირზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა).

- **ყველაზე სასიამოვნო ფეხბურთელები** — პორტუგალიელები.
- **ყველაზე სასიამოვნო მატჩი** — უნგრეთ-ბრაზილიის შეხვედრა.
- **ყველაზე დიდი მოულოდნელობა** — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვება იტალიაზე.
- **ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი** — ეუსებიო.
- **ყველაზე უშედეგო გუნდი** — ბულგარეთი.
- **ყველაზე ბრძოლისუნარიანი** — ინგლისი.
- **ყველაზე დისციპლინირებული** — კსდრ-ის ნაკრები.
- **ყველაზე სიმპათიური** — მექსიკა.
- **ყველაზე უიღბლო** — ბრაზილია.
- **ყველაზე ტრაგიკული მოთამაშე** — პელე.
- **ყველაზე ხალხმრავალი მატჩი** — ინგლის — გფრ-ის შეხვედრა (95 ათასი მაყურებელი).
- **ყველაზე უმაყურებლო** — ჩილი — კორეას მატჩი (13.575 მაყურებელი).
- **ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი** — ეუსებიო და ბ. ჩარლტონი.
- **საუკეთესო გოლის ავტორი** — ემერიხი (გფრ) ესპანეთის კარში გატანილი ბურთისთვის.
- **ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელები** — იაშინი და კარბახალი.
- **ყველაზე ახალგაზრდა** — ლიმა.



## „სოლიდარობის" ტურნირი

სკოპლეში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ამხანაგური შეჯიბრება, რომელსაც ორგანიზატორებმა „სოლიდარობის ტურნირი" უწოდეს. პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ იტალიის, საბერძნეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდები. ტურნირს ქველმოქმედური მიზნების გარდა წმინდა სპორტტექნიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან მასში ფაქტიურად გამოდიოდნენ მეხიკოს ოლიმპიადის კანდიდატები, ე. წ. იმედის გუნდები (უმთავრესად ახალგაზრდა ათლეტებით დაკომპლექტებული).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ბულგარეთი, 2. იუგოსლავია, 3. იტალია, 4. საბერძნეთი.

პირად ჩათვლაშიც დიდ წარმატებას მიაღწიეს ბულგარელმა ათლეტებმა. მათ 8 წონიდან შვიდში პირველი ადგილები დაისაკუთრეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ე. გრასიმ (იტალია), ქ. ლეონოვმა, ა. ოსმანოვმა, ლ. დიმიტროვმა, ი. გეორგიევმა, რ. პეტროვმა, დ. ადამოვმა, ვ. ვასილიევმა (ყველანი — ბულგარეთი).

▲ **ბუქარესტი.** რუმინეთისა და ბულგარეთის ჭაბუკ მოკრივეთა განმეორებითი მატჩი, რომელიც ქ. გალაცში ჩატარდა. კვლავ მასპინძლებმა მოიგეს — 7:3.

▲ **ტელ-ავივი.** აქ გაიმართა სტუდენტ კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი ადგილობრივ და სტამბოლის ქალთა კოლექტივებს შორის. მასპინძლებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 79:48.

▲ **ბუდაპეშტი.** დამთავრდა უნგრეთის პირველობა ცურვაში. ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ქალთა შორის ცურვაში გამარჯვებული ი. ტიუროცი. მან დისტანცია 1.02,7 დაფარა.

▲ **ტურინი.** იტალიის მოცურავეთა ჩემპიონატზე გაუმჯობესებულ იქნა 2 ეროვნული რეკორდი. ახალი მიღწევების ავტორები არიან: ოპი (400 მ — 5.08,7) და გროსი (100 მ ბრასი — 1.11,1).

▲ **პრაღა.** ადგილობრივ ტრეკზე გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ველოსიპედისტთა ამხანაგური შეჯიბრება. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 10:8.

▲ **პეკინი.** გაიმართა საფრანგეთისა და ჩინეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელსაც 16 ათასი მაყურებელი დაესწრო. ანგარიშით 67:61 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისის სპორტული ზაფხული

**ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. 13 აგვისტო. ქართული ჭიდაობა.** „მთაწმინდის" პარკი. დასაწყისი 17 ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკი. დასაწყისი 20 ს. **მონაწილეობენ საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები. ზეიმი წყალზე.** „თბილისის ზღვის" წყალჯომარდობის სადგური. დასაწყისი 16 ს.

**კალათბურთი.** კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. **13 აგვისტო. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ბრიუსელის უნივერსიტეტი.** დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12023